კორონავირუსი და მისგან გამოწვეული ზოგიერთი მიზეზშედეგობრიობანი

უპირველესად მინდა, მოგილოცოთ გაზაფხულის, სიკეთისა და სამართლიანობის, ქრისტიანი მართლმადიდებლებისათვის იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის უმნიშვნელოვანესი დღესასწაული და მოგეფეროთ გერმანიიდან ამ რთულ და დაძაბულ დროს. რამეთუ მსოფლიო აღმოჩნდა მძიმე განსაცდელისა და გამოცდის წინაშე, რომელსაც ახალი კორონავირუსი (Covid-19) ჰქვია.

ეს გახლავთ მოვლენა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა :

ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას

ჩვენს თავისუფლებას

ჩვენს მომავალს

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ არ მჯერა შეთქმულებათა თეორიების, თუმცა ცხადია, რომ კაცობრიობის ისტორიაში ამგვარი მძიმე ვითარებისას, გარკვეული ჯგუფები თუ პიროვნებები მუდამ ცდილობდნენ, სხვისი უბედურება პირადი ინტერესებისა და კეთილდღეობისთვის გამოეყენებინათ. თუ გადახედავთ საქართველოს ახალი ისტორიის ბოლო 30 წელს, აქაც კი ცხადად ჩანს უფლებების, ინტერესებისა და საკუთრების ამგვარი გადანაწილება. ასევე, ბევრადაა დამოკიდებული მოსალოდნელი შედეგები იმაზე, თუ როგორი პოლიტიკური/ეკონომიური წყობის პერიოდში ვითარდება მსგავსი მოვლენები. მაგალითისათვის, ჩინეთი, რომ დემოკრატიული ქვეყანა ყოფილიყო და დროულად ეღიარებინა ამ საშიში ვირუსის შესახებ, დღეს სრულიად სხვა სურათი გვექნებოდა. ვირუსის კერა - ქ. ვუჰანი 12 მილიონიანი ინდუსტრიული ქალაქია, სადაც დასაქმებულთა ნახევარზე მეტი სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოდის და თავისუფალ დროს სახლში ბრუნდება. თავად ეს ქალაქი ტერიტორიულად, ინდუსტრიული ჩინეთის შუაგულში მდებარეობს, სადაც მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიხშირეა, ვირუსი კი დეკემბრის დასაწყისიდან უკვე ბობოქრობდა და მხოლოდ ქ. ვუჰანის ლოკალიზაციით ვირუსის გაჩერება წარმოუდგენელია! ჩინური ახალი წლის ზეიმი 21 იანვრიდან 21 თებერვლამდე

გრძელდება და რამდენიმე დღესასწაულს აერთიანებს. ჩინელებს სწორედ ამ არდადეგების დროს შესაძლებლობა, დაათვალიერონ ევროპული და მსოფლიო კულტურის ძეგლები, ესტუმრონ დასასვენებელ კომპლექსებს.

ისე მოხდა, რომ იანვრის თვეში იაპონიაში გახლდით სამეცნიერო კონგრესზე მოხსენებით, როცა პირველად შევიტყვეთ ამ ვირუსის შესახებ და ვაკვირდებოდი პირადად, იქაური მოსახლეობისა და ხელისუფლების რეაქციას. მაშინ, სიფრთხილით ცნობილ იაპონიაშიც კი, იმ უმცირესობას ვეკუთნოდი, ვინც პირბადით დადიოდა. მოგვიანებით კი ევროპული და მსოფლიო პრესა ალაპარაკდა ახალ კორონავირუს Covid-19-ზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ თავიდან ამ ვირუსის გავრცელებას პანდემიად არ მიიჩნევდნენ. დღესდღეობით მსოფლიოს თითქმის ყველა საინფორმაციო წყარო უამრავ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გადმოსცემს, რომელში გარკვევაც არც ისე იოლია, მთავარია, საზოგადოება არ ჩავარდეს პანიკაში!, არ დაკარგონ საღი აზროვნებისა მოქმედების უნარი! პანდემიის და მისგან გამოწვეული კარანტინ/შეზღუდვებს მთელ მსოფლიოში ლოგიკურად მოყვა გვერდითი და ძალიან სერიოზული ეფექტები: ეკონომიკის პარალიზება, ადამიანების ფსიქო/ფიზიკური სტაგნაცია და დეპრესიული ვარდნა და ა.შ. ამის შედეგები ალბათ წლების განმავლობაში გაყვება საზოგადოებას.

ამ მოვლენების ფონზე, თავისთავად ცხადია, რომ თითოეულ ჩვენგანს გვჭირდება დიდი სიფრთხილე, მოთმინება და რაც მთავარია, რწმენა! კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია თუ არა კატაკლიზმების დაძლევის ისტორიაა, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული.

ზოგჯერ მგონია, რომ ადამიანებს დაავიწყდათ, რომ მსგავსი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში არახალია. ხშირად ასეთი მოვლენების პროვოცირებას თვითონ ადამიანის გაუაზრებელი ქცევა იწვევს, რაც ხდება ხოლმე ეკოლოგიური კატასტროფის ერთ ერთი მიზეზი. გარდა ამისა, პლანეტის კლიმატური ცვლილებების ფონზე მსგავსი კატაკლიზმები მომავალშიც მოსალოდნელია, რამეთუ ჩვენი დედამიწა კოსმოსური სივრცის წრებრუნვაშია ჩართული და მის ერთ პატარა ნაწილაკს წარმოადგენს. კოსმოსური და ზოგადად ბიოლოგიური რითმების ყოველგვარი ცვლილება ჩვენზეც, მის ბინადრებზეც აისახება. მნიშნელოვანია, არ მოვადუნოთ ყურადღება და უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ მეცნიერულ პროგნოზებს. ყველაზე გონივრული იქნება, შევეცადოთ ვიყოთ მზადყოფნაში, არ ავყვეთ პოპულისტურ იდეებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შევეცადოთ ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, გავაკეთოთ იმის მაქსიმუმი რაც ჩვენზეა დამოკიდებული!

კორონას ჯგუფის ვირუსები არ არის სრულიად ახალი, მისი მონათესავე SARS და MERS ვირუსები ჯერ კიდევ 2003 წლიდან ვრცელდებოდა, მაგრამ არა ასეთი მასშტაბით, თუმცა

უფრო მაღალი ლეტალობით. როდესაც ვირუსოლოგებმა თავიანთი კვლევების შედეგები წარმოადგინეს, შრატის გამოსაცდელად დაავადებულთა საკმარისი რაოდენობაც კი არ აღმოჩნდა.

საერთოდ, მსგავსი დაავადებების სამკურნალო და პროფილაქტიკური ვაქცინების შექმნასა და გამოცდას, დიდი დრო და ძალიან დიდი ფინანსები სჭირდება.

მეოცე საუკუნის ორი უმძიმესი ომის შემდეგ, ევროპის და ამერიკის კონტინენტზე საბედნიეროდ, აღარ გვქონდა საკაცობრიო საფრთხე და რა თქმა უნდა, მომდევნო თაობებს არ ახსოვთ პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოცენებული პანდემია ე.წ. „ესპანკა“ ანუ **„ესპანური ინფლუენცა“**, გრიპი, რომელმაც დაახლოვებით 50 დან 80 მილიონამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ეს გრიპი არ აღმოცენებულა ესპანეთში. ამერიკელი ჯარისკაცების ჩასვლის შემდეგ საფრანგეთში, რამდენიმე მათგანი ლაზარეთში მოხვდა და მას შემდეგ გავრცელდა მთელ ევროპაში, აზიაში და აფრიკის კონტინენტზე. **ამაზე, იმიტომ ვამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომ ეპიდემიები, ისევე როგორც Covid-19, ხდება ხოლმე დიდი პოლიტიკის ნაწილი. მაშინდელ გრიპს კი ესპანური სახელი მხოლოდ იმიტომ შერჩა, რომ მის როგორც ახალი „იმფლუენცა“ გრიპის თაობაზე ღიად პირველად ესპანურმა პრესამ დაწერა.** ამიტომ არ გაგიკვირდეთ თუ პოლიტიკურ სცენაზე მომავალში ამ პანდემიას შედეგად სერიოზული რყევები მოჰყვეს. ისმის ისეთი მოსაზრებები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს უჩივლოს ჩინეთს, ... საინტერესოა, რომელ სასამართლოში აპირებენ ჩივილს, როდესაც დღეს მოქმედი არცერთ საერთაშორისო სასამართლოს სტატუტზე, არც ამერიკის შეერთებულ შტატებს და არც ჩინეთს ხელი მოწერილი არა აქვს.

უდავოა, რომ მსოფლიო მძიმე ეკონომიური რეცესიის ზღვარზეა. ამჯერად უბრალოდ მასმედიის მთავარი თემა ახალი კორონავირუსის გავრცელება და ის დიდი ადამიანური დანაკლისია რასაც მსოფლიო განიცდის.

დღეს საბანკო ბირჟებზე უკვე ფაქტობრივად დიდი ეკონომიური და საფინანსო კრიზისის საკმაოდ მძიმე კარდიოგრამას ვხედავთ. ამის მიზეზია თვეების განმავლობაში გაჩერებული ეკონომიკური ბრუნვა. მსოფლიო ეკონომიკა უკვე რეცესიის ყველა სიმპტომებით დაავადდა. გადაიდო ამ წლისათვის დაგეგმილი ყველა ღონისძიება. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, მიუნხენის მერის დიტერ რეიტერის ინფორმაციით, ყოველწლიური საშემოდგომო ლუდის დღესასწაულის გადადებით ქალაქი 1,5 მილიარდამდე ზარალის წინაშე აღმოჩნდა (აქ იგულისხმება მთელი ინფრასტრუქტურული კომპონენტები).

ფასიანი ქაღალდები გაიაფდა, აქციები თითქმის 2008 წლის ეკონომიური კრიზისის დონემდე დაეცა. ნავთობის ფასი განახევრდა და როგორც საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ი იუწყება, რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის გარკვეული დროის შეუთანხმებლობა ნავთობის მოპოვების ოდენობაზე, რამდენიმე დღის წინ იმით დასრულდა (OPEC - ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების გაერთიანება), რომ ნავთობის კიდევ უფრო გაიაფების თავიდან ასაცილებლად, მისი მოპოვება თითქმის გაჩერდა.

ასევე, ამერიკელები დიდ ინვესტიციებს დებდნენ ე.წ. ფიქლის თიხოვან [Shale Oil] ნავთობში, მაგრამ ამჯერად ჩვეულებრივი ნავთობის ფასი 40 დოლარზე ნაკლებია და ამ ტიპის ნავთობის მოპოვებაც მომგებიანი აღარაა. ეს კი გამოიწვევს იმ ფირმების გაკოტრებას, ვინც ამერიკის პრეზიდენტის ლობირებით, ამ ბიზნესში ჩაება, აღარაფერს ვამბობ იმ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებზე, რომელსაც ნავთობის მოპოვების ეს მეთოდი იწვევს.

ასევე, დაემხო რუსეთის ყველაზე ძვირად ღირებული სახელმწიფო ნავთობმომპოვებელი კამპანია **Rosneft Trading- მისი** თვითღირებულების ინდექსი განახევრდა. რუსეთი გამოვიდა ვენესუელიდან, უარი განაცხადა მათი ნავთობის გატანაზეც. ვენესუელის ნავთობი იყო ერთ ერთი მიზეზი, აშშ-ს მიერ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა. ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩენილი მსოფლიოს მთავარი მოთამაშეები ახალ თამაშის წესებზე უნდა შეთანხმდნენ... ცხადია, რომ რამდენიმე კარტელი დაკარგავს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას, თუმცა ეს არ გამოიწვევს ავტომატურად სოციალურად დაუცველი წრეების გამდიდრებას, პირიქით, ეკონომიურად დაუცველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. დედამიწის მცხოვრებთა ეს ფენა მთელ მსოფლიოში გაიზრდება რიცხობრივად, თუ არ მოხდება ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის/ოქროს თუ სხვა ბუნებრივი რესურსების საყოველთაო სახალხო სიკეთის გარანტიად გამოცხადება. ისევე, როგორც ნორვეგიის ნავთობის ფონდი არის ნორვეგიის 5,2 მილიონ მოქალაქეთა საპენსიო და სოციალური დაცვის გარანტი, რაც არც მეტი არც ნაკლები 1,4 მილიონი კრონის ექვივალენტია თითო სულ მოსახლეზე. არსებობს რამდენიმე მსოფლიოკონცერნი, რომელთა ისედაც მაღალშემოსავლიანი კონცერნები, როგორც წესი არ იხდიან საშემოსავლო გადასახადებს, მათ შორის ერთ-ერთი პირველია ე.წ. ინტერნეტით ვაჭრობის კონცერნი **Amazon,** რომელმაც **Der Spiegel** ის ეკონომიკური საინფორმაციო განყოფილების თანახმად 10 დღეში 10 მილიარდი მოგება მიიღო, ხოლო გერმანიის ფარგლებში მოგების რეკორდი დაამყარა ფილმების გაქირავების პლატფორმამ **Netflix**. **დედამიწის 4 მილიარდზე მეტი მოსახლეობა შიდა იზოლაციას იცავს და ყველა სახის მიმოსვლის საშუალება გაჩერდა. ალბათ, რამდენიმე თვის წინათ ასეთი სცენარის**

განვითარებას ვერავინ წარმოიდგენდა. მაგრამ ეკონომიკური რღვევის პროცესებსაც, ალბათ, აქვს თავისი აზრი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოჰყვება ახალი მსოფლიო ეკონომიკის გარკვეულწილად გაჯანსაღება და შემცირდება იმ უზარმაზარი ცარიელი, საბანკო ბირჟებზე აღმოცენებული, არაჯანსაღი კაპიტალის ოდენობა, რომელიც მთელ მსოფლიოში დაძრწის და ეძებს დაბანდებასა და განივთებას, თვით სახელმწიფოების პრივატიზაციასაც კი, რაც ყველაზე საიმედო თავშესაფარია მათთვის და იყენებენ სახელმწიფო სტრუქტურებს უკანონოდ მოპოვებული ფულის გასარეცხად და გასათეთრებლად!

მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანაში უმუშევრობა კატასტროფულად იზრდება და კვლავაც გაიზრდება. გაიზრდება დროებით დასაქმებულთა რიცხვი, რაც დასაქმებულთა შრომის უფლებებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს. როგორც დღესდღეობით, ასევე, მომავალშიც გაჩნდება მრავალი სამართლებრივი პრობლემები ადამიანის უფლებისა და თავისუფლებასთან დაკავშირებით, ამ საკითხებს დაწვრილებით მომავალ წერილში შევეხებით.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან წვრილი და საშუალო საწარმოები, გაიზრდება მათი კრედიტების გადაუხდელობის რისკები, სწორედ ქვეყნის ეკონომიკის ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი სეგმენტის შემცირება სასიკვდილო საფრთხეს უქმნის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ რამდენიმე დღეში 20 მილიონზე მეტი უმუშევარი აღირიცხა. ამიტომაც თითქმის ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაშიც, მთავრობა ცდილობს სწრაფი ერთჯერადი დახმარებების გარდა გადაავადოს ან მისცეს მრავალწლიანი უპროცენტო სესხები, **რათა დამსაქმებლებმა შეძლონ დასაქმებულთათვის ხელფასის გაცემა.** გერმანიაში უკვე დარიგდა ამ კატეგორიაზე ფორმულარები, რომლის შევსება და შესაბამის ორგანოებში მხოლოდ მოთხოვნის დაყენებაა **საჭირო. დახმარება გაიცა თვითდასაქმებულთათვის. განსაკუთრებული ზრუნვის სფერო გახდა სოფლის მეურნეობა.** მოგეხსენებათ, რომ როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეკონომიკის სფერო, სოფლის მეურნეობა, გერმანიაში სუბსიდირების სფერო იყო წლების განმავლობაში. გერმანიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ქალბატონმა გლიოკნერმა მოითხოვა ევროკავშირისგან, რომ ბრიუსელმა გერმანელ სოფლის მეურნეობის მუშაკებს გამოუყოს დამატებითი ფინანსური დახმარება. თვითონ მთავრობამ გასცა ფინანსური დახმარებები მეწარმეებზე 9000 დან 30 000 ევრომდე, დასაქმებულთა ოდენობის შესაბამისად. მათთვის დაშვებული იქნა შეღავათები და გამონაკლისები,

სეზონის მოცდენის თავიდან ასაცილებლად აღმოსავლეთ ევროპიდან სპეციალური რეისებით შემოიყვანეს 20 000 დამხმარე მუშა ხელი. **საერთაშორისო მასშტაბით, COVID 19-ით მეტად დაზარალებულ ევროკავშირის ქვეყნებს პრეტენზია უჩნდება, რომ ბრიუსელმა გამოუშვას ე.წ. „კორონაბონები“,** რაც საბოლოოდ დავალიანებული ქვეყნების ვალების გადანაწილებას მოახდენდა სხვა ქვეყნებზეც.

ჰოლანდიამ და გერმანიამ არ დაუჭირეს ამ იდეას მხარი. **სამაგიეროდ, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა იტალიაში, ესპანეთსა და ახალი კორონავირუსული პანდემიით შედარებით მეტად დაზარალებულ ქვეყნებში სამუშაოს შენარჩუნების დროებითი ინსტრუმენტი წარმოადგინა. მას ეწოდება „დახმარება საგანგებო სიტუაციებში უმუშევრობის რისკის შემცირების მიზნით“ (ინგლისური აბრევიატურა - SURE).**

უნდა აღინიშნოს, რომ კორონა, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ვირუსები, ერთხელ რომ ჩნდება ჩვენს გვერდით ან ჩვენში, რჩებიან სამუდამოდ, ოღონდ შედარებით დასუსტებული. ჯგუფური/მასობრივი იმუნიტეტის გამომუშავების სპეციალისტების აზრით, ხშირია შემთხვევები, რომ ზოგიერთი ჩვენგანი უკვე ვართ ამ ვირუსის მატარებელი და სხვადასხვანაირი სიმძიმით მისი გადატანა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. საქართველოშიც დღემდე წარმატებულად ებრძვიან პანდემიას და ღმერთმა ქნას, რომ ვირუსის გავრცელების აპოგეაც უმტკივნეულოდ გავიაროთ!

დედამიწაზე ყოველწლიურად ებოლა და სხვა ტროპიკულ დაავადებები ასობით ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ისევე როგორც ყოველწლიური გრიპი, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი ადამიანი იღუპება სხვადასხვა კონტინენტებზე.

ბოლო დღეები სასიხარულო ამბები მოდის ასევე იტალიიდან, სადაც ყოველდღიურად გაცილებით მეტი ადამიანი განიკურნა, ისევე როგორც გერმანიასა და საფრანგეთში. ბოლო მონაცემებით, გერმანიაში ახალი კორონავირუსით 140 000 ადამიანი <u>დაინფიცირდა</u>, მათგან გარდაცვლილთა რაოდენობა 4000 ასცდა, უნდა დავაზუსტო რომ გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაციას გერმანიაში აქვეყნებენ გრაფაში, რომელსაც ჰქვია **/კორონა ვირუსთან დაკავშირებით გარდაცვლილთა სია**/ ესპანეთში 5 500 მეტი დაფიქსირდა.

ჩინეთში ვირუსით გარდაცვლილთა ზუსტ რაოდენობას ალბათ ვერასოდეს გავიგებთ, 17. მარტიდან გარდაცვლილთა რაოდენობა **მათი წყაროებით მხოლოდ** 4632.

ვირუსის სამშობლოდ ამა თუ იმ ქვეყნის აღიარება დიდი პოლიტიკის ნაწილია და სერიოზულ ეკონომიკურ ძვრებს გამოიწვევს მსოფლიოში.

ჩინეთი ყველანაირად ცდილობს თავისი ეკონომიური ჰეგემონია გააძლიეროს და აბრეშუმის გზის მეგა პროექტიც, სწორედ ამ იდეას ემსახურება. ჩინელებმა **ვირუსის სამშობლოს სტიგმა** რომ ჩამოიშორონ (ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ვირუსი გარედანაა შემოტანილი), ჩინეთში ადგილი აქვს ბოლო პერიოდში ჩინეთში ახალი ჩასული პირების დისკრიმინაციას, როგორც ვირუსის შემომტანების(!!!). ამ დროს არ ამბობენ, რომ მათი ძირითადი ნაწილი, თვითონ ჩინელები არიან, ვინც ეს ვირუსი სამშობლოდან უნებლიედ გაიტანა უცხოეთში და ახლა ბრუნდებიან სამშობლოში. ცნობისათვის, ჩინეთში **COVID 19-ს მილანის ვირუსს ეძახიან.**

აქამდე არსებული ყველა ეკონომიკური თეორიის თანახმად, ახლანდელი მდგომარეობა გადაიზრდება სრულფასოვან ფინანსურ კრიზისში, რომელსაც მასობრივი გაკოტრება, უმუშევრობა და ბევრი ქვეყნის ცხოვრების დონის დაქვეითება მოყვება. ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება დახმარების პაკეტების გაცემა მთავრობისგან, საშუალო და მცირე ბიზნესის კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. კაცობრიობის ისტორიაში ომების თუ პანდემიების შემდეგ იწყებოდა ეკონომიკის გამოცოცხლება, ჩნდებოდა ახალი იდეები. ახლაც, დიდი შრომისა და დისციპლინის შედეგად ვინც მოახერხებს ამ ახალ და რთულ პროცესებში ადგილის დამკვიდრებას, კრიზისიდან გამარჯვებული გამოვა. **მიუხედავად იმისა, რომ ამ წუთას ცოტა უხერხულია ამაზე საუბარი, ასეთი კრიზისები გარკვეულ ახალ შანსებსაც ბადებს კაცობრიობისათვის.**

ყველაზე დიდი სიკეთე კი ადამიანის სიცოცხლეა და დღემდე საქართველოში მოღვაწე მაღალი დონის ეპიდემიოლოგებისა და ვირუსოლოგების წყალობით საქმე არც თუ ისე ცუდად გამოიყურება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ უცხოეთში მყოფი ქართველების და პირადად ჩემი გულითადი მადლობა! იმ ექიმებსა და სამედიცინო მუშაკებს ვინც დღე და ღამე სხვისი სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან, საკუთარი სიცოცხლის ფასად როგორც ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომელი ექიმი ზურა მინიაშვილი. მინდა თანაგრძნობა გამოვუცხადო ბატონი ზურას ოჯახსა და კოლეგებს.

ყველაზე დიდი საფრთხე საყოველთაო თავშეყრის ადგილებში ან ადამიანების შედარებით დიდი ჯგუფის ერთ დახურულ სივრცეში ყოფნაა.

საქართველო დაბალი შობადობის გამო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას და ყოველი სიცოცხლე უძვირფასესია ჩვენთვის და თუ სხვა ქვეყნების უარყოფით გამოცდილებაზე ვისწავლით, დავინახავთ, რომ თვითონ დაავადება არაა ისეთი მძიმე და

განუკურნებელი და ამას საქართველოში გამოჯანმრთელებულ ადამიანთა რაოდენობაც მეტყველებს! საშიშია მისი გავრცელების ტემპი! რაც სამედიცინო სამსახურის კოლაფსს იწვევს.

საშიშია ადამიანების სიმრავლე აარამრტო დახურულ, არამედ და ღია სივრცეშიც კი!!!

ამის მაგალითია სულ ახლახან „**Spiegel“** ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ჰამბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ონკოლოგიის განყოფილებიდან, სადაც 20 პაციენტი და ამდენივე ექიმი და მედპერსონალი ვირუსით დაავადდა, რამეთუ ონკოპაციენტები ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფია და ყველა კანონისა და წესის დაცვითაც კი გერმანიაშიც კი შესაძლებელი გახდა მედპერსონალის დავირუსება. ასევე, მძიმე მდგომარეობაა მთელ მსოფლიოში მოხუცებულთა სახლებში.

ყველა ქვეყანაში ჯერ ექიმების და სამედიცინო მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობას უფრთხილდებიან , რამეთუ როგორც სპეციალისტები ამბობენ/ პანდემიის აპოგეა ჯერ წინა გვაქვს! და გარდა ამისა შესაძლოა, მისი რეციდივიც კი შემოდგომისკენ. ახალი ექიმების მომზადება/გადამზადებას კი თვეები და წლები სჭირდება. **ამ ვირუსის სიმძიმე მისი გავრცელების ტემპებია, ადამიანის სხეულში ჯერ კიდევ ინკუბაციაში მყოფი ვირუსი (2/3 კვირა) როცა ჯერ არავითარი სიმპტომიც კი არ ჩანს, შეუძლია ათობით რისკის წრეში მყოფი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლოს. თუკი დისტანცირება ჩვენი და ჩვენი ახლობლების სიცოცხლის გადარჩენის წინაპირობაა....დავიცვათ!**

მთელ მსოფლიოში გაფანტული ქართველები ვირტუალურად ერთად უნდა შევიკრათ, რომ როგორმე მოვერიოთ პანდემიას. ერთ თვეზე მეტია მოქმედებს ამერიკასა და გერმანიაში „ქართველი ემიგრანტების დასახმარებელი კრიზის ცენტრი“, რომელიც, ჩვენივე, უცხოეთში მაცხოვრებელი ქართველების შეწირულობით, ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს უცხოეთში დარჩენილ საქართველოს მოქალაქეებს, დროებითი თავშესაფრის, ბილეთების აღებასა და სამშობლოში დაბრუნებაში. უმრავლესობას უნდა სამშობლოსა და ოჯახში დაბრუნება, რამეთუ ისეთ ღარიბ ქვეყანაშიც კი როგორც საქართველოა, მთავრი ფაქტორი - პირველადი სამედიცინო დახმარება და მაღალი დონის ექიმები არიან. მისასალმებელია, რომ გონიერი და გამოცდილი ეპიდემიოლოგების წყალობით ევროპაზე და ამერიკაზე გაცილებით ადრე გამოცხადდა კარანტინი. იმედია მალე უფრო დიფერენცირებულად მიუდგებიან რომ ქვეყნის მოსახლეობა არ დარჩეს ელემენტალური სასურსათო პროდუქტის გარეშე, სადაც საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზაცია უნდა მოხდეს.

გერმანიაში ჯანდაცვა და საავადმყოფოები არ არის პრივატიზირებული, თავისთავად

საყოველთაო სამედიცინო მომსახურება და რაც მთავარია, მოქმედებს საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, რითაც უზრუნველყოფილია, რომ ყველა მოქალაქეს ერთნაირი, საკმაოდ მაღალი სამედიცინო მომსახურება აქვს. მიუხედავად ფედერალური წყობისა ქვეყანაში ერთიანი პოლიტიკის გატარება მოხერხდა. ხდება მასობრივი ტესტირება. ყოველ კვირას ნახევარ მილიონს უკეთდება შემოწმება და ამიტომაცაა დაინფიცირებულთა დიდი რაოდენობა გამოვლენილი. ბევრ ჩვენგანს, ალბათ, ვირუსი სადღაც გადაეყარა, მაგრამ უსიმპტომოდ გადაიტანა ან ეს ყველაფერი ჯერ მომავალში გველოდება. სამწუხაროდ, გერმანიაში 8 მარტიდან დღემდე კორონავირუსთან დაკავშირებულ გარდაცვლილთა რაოდენობამაც უკვე 4000 გადააჭარბა. (მთელ მოსახლეობა 85 მილიონია და, როგორც ექიმები და ვირუსოლოგები პროგნოზირებენ, 80% ალბათ მოუწევს ამ ვირუსთან შეხვედრა ადრე თუ გვიან).

გერმანიაში, იტალიაში და სკანდინავიის ქვეყნებშიც იზრდება გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა. ექიმები მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში მუშაობენ როგორც სამკურნალო პრეპარატის, ასევე, ვაქცინის შექმნაზე. ვირუსოლოგებმა და ექიმებმა შესანიშნავად იციან, რომ რეალური შედეგის მიღწევას საკმაოდ დიდი თანხები და1 ან 2 წელი მაინც სჭირდება.

საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ბევრს მგზავრობს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია წასული სამუშაოდ თუ სასწავლებლად. ამას დაემატა, საქართველოში დიდი ტურისტული ნაკადი და ქვეყანა ვირუსის პანდემიის გავრცელების, უდაოდ დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ევროპაში ვირუსის გავრცელება იმ რეგიონებიდან დაიწყო, სადაც ჩინური საახალწლო არდადეგების დროს ტურისტების დიდი ნაკადი იყო ჩამოსული სამთო სათხილამურო კურორტებზე, ვენეციასა და მილანში,/ გარდა ამისა მილანის მახლობლად არსებობს ჩინელების საკმაოდ დიდი დასახლება, რომელიც ემსახურება მილანის მოდის ინდუსტრიას და იქვე კერავენ, მილანში მოდური ტანსაცმლის შესაძენად ჩასულ ტურისტებისათვის პროდუქციას/ ჩრდილოეთ იტალიასა და ავსტრიაში. ავსტრიაში უცბად მოხდა პანდემიის ლოკალიზება და დაწესდა მკაცრი კარანტინი. დღეს აქ, ისევე როგორც სკანდინავიის ქვეყნებში, უკვე საუბრობენ და პირველ ნაბიჯებს დგამენ კარანტინის ზომების შემსუბუქებაზე. გაიხსნა სკოლები და ბაღები, რამეთუ ხანგრძლივი იზოლაცია ბავშვის და არამარტო, ფსიქიკაზე მძიმე შედეგებს იწვევს.

ორიოდე სიტყვით მინდა შვედეთის მიერ არჩეულ გზას შევეხოთ. პანდემიის გავრცელების ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა რომელი მეთოდი უფრო სწორია, ამას ყველაფერს დრო გვიჩვენებს. მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესოა რა შედეგს მიაღწევენ პანდემიასთან

ბრძოლის განსხვავებული მიდგომით. ბოლო მონაცემებით შვედეთის ეკონომიური ვარდნა 6,8 პროცენტს შეადგენს, არცაა გასაკვირი გლობალური ეკონომიკის პირობებში. აშშ-ს ჰოპკინსის ინსტიტუტის მონაცემებით დღემდე შვედეთში 20.302 ადამიანი დაავადდა, გარდაცვლილთა რაოდენობა 2.462 , გამოჯანმრთელებულთა რიცხვი კი 1.005. შვედეთის მოსახლეობა აღწევს 10,2 მილიონს.

ამ ციფრების შემყურე მგონი არც საქართველო გამოიყურება ცუდად.

ძალიან ძნელია ურჩიო ვინმეს თუ როგორ უნდა მოიქცეს დღესასწაულებზე. მე მგონი ყველას ყოფნის იმდენი განათლება და პასუხისმგებლობა!

აქაურ გამოცდილების შესახებ იმიტომ მოგიყევით, რომ მეჩვენებინა რა ვითარება და პროცესებია ევროპაში. აღსანიშნავია, რომ კათოლიკური აღდგომა და ბზობა აქ ყოველთვის ძალიან აქტიურად და დიდი ხალხმრავლობით აღინიშნება ხოლმე. ამჯერად როგორც მთელ მსოფლიოში და ამავე დროს რომში, კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო ცენტრშიც კი ყველა ეკლესია დაკეტილი იყო. ეკლესიების წინ იყო გამოფენილი ნაკურთხი ბზა და ვისაც შეეძლო დროისა და სურვილის შესაბამისად სახლში მიეტანა და წირვასაც დასწრებოდა ვირტუალურად ცხადია. გერმანიაში „ლოქდაუნი“ გვაქვს და ყველა ცდილობს დაიცვას დისტანცია და უმიზეზოდ ქუჩაში არ გავიდეს. აღდგომის წირვა კი ონლაინ მიმდინარეობდა, როგორც კათოლიკეებისათვის, ასევე პროტესტანტებისათვის. მაცხოვრის საფლავის ტაძარი ისრაელში შემოღებული კარანტინის ზომების გამო ტურისტებისა და მორწმუნეებისთვის უკვე 25 მარტიდან დაიკეტა. ამის შესახებ გადაწყვეტილება იერუსალიმის ქრისტიანულმა საეკლესიო ხელმძღვანელობამ პოლიციასთან შეთანხმებით მიიღო. ასევე, დაიკეტა ალ აქსას მეჩეთი. ჩემდა გასაკვირად მარტის პირველივე დღეებში არაბეთის ემირატებმა ერთსულოვნად გადადეს მუსლიმანური რელიგიის დამფუძნებლების მუჰამედის საფლავზე პილიგრიმების ტრადიციული მსვლელობა შემოდგომისათვის.

უდაოდ ძნელია, რომ ისეთი რელიგიური მრწამსის ქვეყანაში, როგორც საქართველოა,

აკრძალვებით ესაუბრო მათთვის ძალიან ინტიმურ და ფაქიზ თემებზე, როგორიც რელიგიაა და ისეთ ტრადიციული რიტუალებზე, რომელიც გარდაცვლილი ახლობლების სასაფლაოზე მისვლას ეხება. სამწუხაროდ, შექმნილი მდგომარეობა ბევრ არჩევანის საშუალებას აღარ ტოვებს.

მესმის ძალიან კარგად იმ ადამიანების და მშობლების, ვინც სულ ცოტა ხნის წინ მიაბარა ძვირფასი ადამიანი მიწას. ეს მძიმე სულიერი მდგომარეობა გამოცდილი აქვს ბევრს, ვინც დიდი ხანია უცხოეთში ცხოვრობს.

მე პირადად, მახსოვს როგორ შევთხოვდი გერმანიაში მყოფი, ღამღამობით მთვარესა და ვარსკვლავებს, რომ სულ ცოტა ხნით დაენახვებინა ჩემთვის ჩემი მშობლებისა და ჩემი საქართველოში დაკრძალული ჩვილების საფლავები, რომელთაც მთვარე იმ წუთას, ასევე დაჰყურებდა ზემოდან, როგორც მე მხედავდა.

მინდა გულით და სასიკეთო მომავლის რწმენით ბედნიერი, ჯანსაღი და ისეთი აღდგომის სადღესასწაულო დღეები გისურვოთ, რომ არ ვავნოთ არც სხვას და არც საკუთარ თავს!

თქვენი ელიკო ნიკლაური/ლაბმიხი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი

სოციოლოგი და კრიმინოლოგი

გერმანიის მაქს/პლანკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

გერმანია, მაქს/პლანკის სისხლის სამართლის ინსტიტუტი

24 აპრილი, 2020 წელი